

ნეგაციის შესახებ ქართულ ჟესტურ ენაში

მახარობლიძე თამარ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2021.508>

აბსტრაქტი. ქართულ ჟესტურ ენაში ნეგაცია გადმოიცემა შემდეგი ოთხი სახის ლექსიკურ-გრამატიკული ფორმებით:

- უარყოფითი ნაწილაკებით არა, ვერა, ნუ(რა);
- უარყოფითი გრამატიკული ელემენტებით;
- უარყოფითი მოდალური სიტყვებით/ზმნებით;
- უარყოფითი ლექსემებით (არავინ, არაფერი, არსად, ვერავინ და სხვ.).

სტატიაში მოცემულია ამ ოთხი ტიპის ნეგატიურ ფორმათა კომბინაციების ამსახველი მატრიცა.

ნეგაცია	არ(ა)	ვერ(ა)	ემფატიკური ნეგაცია	აკრძალვითი ნეგაცია	პერფექტული ნეგაცია	მომავლის ნეგაცია	უარყოფითი მოდალურები	უარყოფითი სიტყვები
არ(ა)	X	Adj./S	Adj./S	Adj./S	Adj./S	Adj/S	Adj.past	S
ვერ(ა)	Adj./S	X	T/S	0	0	0	T/S	S
ემფატიკური ნეგაცია	Adj./S	T/S	X	0	S	T/S	T/S	S
აკრძალვითი ნეგაცია	Adj./S	0	0	X	0	S	S	S
პერფექტული ნეგაცია	Adj./S	0	S	0	X	0	S	S
მომავლის ნეგაცია	Adj/S	0	T/S	S	0	X	T/S	S
უარყოფითი მოდალურები	Adj.past	T/S	T/S	S	S	T/S	X	S
უარყოფითი სიტყვები	S	S	S	S	S	S	S	X

სტანდარტული ნეგაციის ძირითადი მაწარმოებლები ქართულ ჟესტურ ენაში არის ორი უარყოფითი ნაწილაკი 'არა' და ნაკლებად კატეგორიული 'ვერა'. ეს უკანასკნელი ქართული სამეტყველო ენიდანაა ნასესხები ფორმა (მახარობლიძე 2019).




უარყოფითი ნაწილაკი არა /არ



უარყოფითი ნაწილაკი ვერა /ვერ

ამ ორი ნაწილაკის შერწყმა იძლევა მყარ ფორმას მოდალური მნიშვნელობით 'არ შემოდია'.



ვერა+არა = არ შემოდია

სტანდარტული უარყოფისას უარყოფითი ნაწილაკი 'ვერა' წინ უძღვის ზმნას, ხოლო 'არა' უმეტესად ზმნას მოსდევს. უნდა აღინიშნოს, რომ არის ტენდენცია, რომ ეს ნაწილაკები ზმნის ძირითადი ლექსიკური ფორმის მერე განთავსდნენ. რამდენადაც ქართული ჟესტური ენას არ აქვს სტანდარტიზაცია, შესაბამისად არც ენობრივი ნორმებია განსაზღვრული და აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია გრამატიკული ფორმების სიჭრელე.

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ქართული ჟესტური ენა არის მანუალ დომინანტური ენა და მიმიკას ნაკლები დატვირთვა აქვს გრამატიკული თვალსაზრისით. თუმცა, უნდა ისიც ითქვას, რომ ნეგაციის დროს თავის გადაქნევა/გაქნევა და შესაბამისი ნეგატიური მიმიკა თითქმის სავალდებულოა. წარმოდგენილ სტატიაში არ გავამახვილებთ ყურადღებას მიმიკურ ნეგაციაზე, რადგანაც ეს უკანასკნელი მანუალური ჟესტისგან დამოუკიდებლად ვერ მუშაობს ენაში.

ქართულ ჟესტურ ენაში ნეგაცია გადმოიცემა შემდეგი ლექსიკურ-გრამატიკული ფორმებით:

1. უარყოფითი ნაწილაკებით არა, ვერა, ნუ(რა);
2. უარყოფითი გრამატიკული ელემენტებით;
3. უარყოფითი მოდალური სიტყვებით/ზმნებით;
4. უარყოფითი ლექსემებით (არავინ, არაფერი, არსად, ვერავინ და სხვ.).

ამ ტიპის ფორმათა კომბინაციები აყალიბებს ნეგატიურ კონკორდს ქართულ ჟესტურ ენაში, თუმცა მსგავსად სხვა სამეტყველო და ჟესტური ენებისა, ნეგატიური კონკორდი ასევე დასაშვებია მხოლოდ ლექსიკური ფორმატივაც, ანუ მხოლოდ მეოთხე ტიპის ფორმებით.

პირველ ფორმებზე ზევით უკვე ვისაუბრეთ, აქ მხოლოდ დავამატებთ, რომ აკრძალვითი 'ნუ' მკაცრი აკრძალვისას შეერწყმის 'არა'-ს:



ნუ+არა

ამ ფორმაში 'ნუ' გამოხატულია რუსული ნ დაქტილით. ამის პარალელურად გვაქვს ახალი ქართული ფორმაც:




ნუ

ქართულ ჟესტურ ენაში უარყოფითი გრამატიკული ელემენტებით გადმოცემული ნეგაციის მაგალითებია:


ა. აკრძალვითი ნეგაცია:




ბ. ემფატიკური ნეგაცია:



გ. პერფექტული ნეგაცია:



დ. მომავლის ნეგაცია:




ამათ გარდა, არსებობს ასევე სტანდარტული ნეგაცია წარსული დროისთვის (არ დავხატე/არ დამიხატავს) რომელიც გადმოცემულია ფორმით იყო+არა (ხატვაიყო+არა). ეს ფორმა ამჟამად გრამატიკალიზაციის ეტაპზეა და ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, როგორც დროის ნეგაციური მორფემა ან ნაწილაკი, რამდენადაც ჯერჯერობით ამ კომპოზიტის ორივე ნაწილი სრულად იკითხება ლექსიკურად.

როგორც ზემოთ მოცემული მასალიდან ჩანს, ქართულ შესტურ ენას აქვს დროითი ნეგაციური ფორმები, რაც ერთობ მნიშვნელოვანია ტიპოლოგიური თვალსაზრისით.


მსგავსად სხვა შესტური ენებისა, ქართულ შესტურ ენას აქვს უარყოფითი მოდალური სიტყვები, რომლებიც ნაწილობრივი სუბლექციით იწარმოება დადებით ფორმებისგან, მაგალითად:

<p>შემიძლია</p>	<p>არ შემიძლია</p>
<p>მინდა</p>	<p>არ მინდა</p>



ვიცი

არ ვიცი



უნდა

არ უნდა

როგორც ვხედავთ, ნეგატიური მოდალური ზმნები განსხვავებული ლექსიკური ერთეულებია. აღსანიშნავია, რომ ამავე ფორმატით მოქმედებს არამოდალური ვიცი ზმნაც ქართულ ჟესტურ ენაში. ძირითადი სხვაობა მასსა და მოდალურ ზმნებს შორის ისაა რომ მოდალური ზმნები ნეგაციას როგორც წესი, დინამიკის ცვლილებით ახდენენ, ხოლო ვიცი ზმნა ცვლის ხელის კონფიგურაციას, ანუ აქ ადგილი აქვს ფონოლოგიურ სხვაობას.

საგულისხმოა, რომ ქართული ჟესტური ენა აწარმოებს ნეგაციის უნიკალურ მოდელს დროისა და უარყოფის ინტერაქციით მოდალურ ფორმებში, რაც ვლინდება წარსული დროის ნეგატიური ლექსიკის მქონე მოდალური ზმნის ფორმებზე უარყოფით ნაწილაკის დართვით (Makharoblidze & Pfau. 2018) უარყოფითი გრამატიკული ელემენტებით.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სამეტყველო ქართული ენის გავლენისა ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, რუსული ჟესტური ენის გავლენისა, ქართული ჟესტური ენა აყალიბებს ნეგაციის თავის უნიკალურ მოდელს, რომელიც ქვემოთ წარმოდგენილ მატრიცაშია ასახული.

რაც შეეხება უარყოფით სიტყვებს, ეს სრულად შეესაბამება იმ ტიპის ნეგატიურ ლექსემებს, რაც უხვადაა წარმოდგენილი ქართულ სამეტყველო ენაში უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმნიზედების სახით: არავინ, არფერი, ვერავინ, არსად, ნურსად, არარდროს, ვერასდროს და სხვ.

ამ ზემოთ მოცემული ოთხი ტიპის ნეგატიურ ფორმათა კომბინაციები იძლევა ქართული ჟესტური ენის ნეგაციის სრულ გრამატიკულ სურათს, რომელსაც, ჩემი აზრით, საკმაოდ სრულყოფილად ასახავს ნეგაციის მატრიცა:

ნეგაცია	არ(ა)	ვერ(ა)	ემფატიკური ნეგაცია	აკრძალვითი ნეგაცია	პერფექტული ნეგაცია	მომავლის ნეგაცია	უარყოფითი მოდალურები	უარყოფითი სიტყვები
არ(ა)	X	Adj./S	Adj./S	Adj./S	Adj./S	Adj/S	Adj.past	S
ვერ(ა)	Adj./S	X	T/S	0	0	0	T/S	S
ემფატიკური ნეგაცია	Adj./S	T/S	X	0	S	T/S	T/S	S
აკრძალვითი ნეგაცია	Adj./S	0	0	X	0	S	S	S

პერფექტული ნეგაცია	Adj./S	0	S	0	X	0	S	S
მომავლის ნეგაცია	Adj/S	0	T/S	S	0	X	T/S	S
უარყოფითი მოდალურები	Adj.past	T/S	T/S	S	S	T/S	X	S
უარყოფითი სიტყვები	S	S	S	S	S	S	S	X

Adj – შერწყმული ფორმებია. საყურადღებოა, რომ არ(ა) ყოველთვის მეორე ადგილს იკავებს ასეთ ფორმებში

T – ერთად შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერი თანმიმდევრობით

S – წინადადებაში დასაშვებია ერთად წარმოდგენა

0 – არასოდეს გვხვდება ერთად

სადაც არა არის აუცილებლად Adj. შერწყმული ფორმის მეორე ნაწილი.

აკრძალვითი ნეგაცია, პერფექტული ნეგაცია და ემფატიკური ნეგაცია ასევე მომავლის ნეგაცია შესაძლოა იყოს წარმოდგენილი უარყოფით მოდალურებთან მაგალითად არმინდა ფორმასთან, მაგრამ ის ვერ იქნება არშემიძლია ფორმასთან. მომავლის ნეგაცია პირველ ადგილზეა ყოველთვის ამ ტიპის კონკორდში ასევე აკრძალვითი ნეგაციასთან ერთად წინადადებაში.

ბუნებრივია, რომ ნეგაციის საკითხების კვლევა ქართულ შესტურ ენაში საჭიროებს ძირფესვიან განხილვებს, განსაკუთრებით შესასწავლია რეგიონებში არსებული ყრუთა თემების შესტურ მეტყველებაში წარმოდგენილი ფორმები და ჩასატარებელია მათი როგორც დესკრიფციული ასევე შეპირისპირებითი ანალიზი.

შენიშვნა: გაჩეული დახმარებისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო შესტური ენის მატარებლებს, ყურთა თემის წევრებს ნათია და ლეკე (ლამარა) ჯაფოშვილებს.

ლიტერატურა:

მახარობლიძე თამარი 2012. ქართული შესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.

მახარობლიძე თამარი 2019. ქართული შესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.

მახარობლიძე თ. (2018) ლინგვისტური წერილები - IV წიგნის ფაბრიკა. თბილისი ISBN 978 9941-9-0044-3 317 გვ.

Geraci, Carlo. 2005. Negation in LIS (Italian Sign Language). In Leah Bateman & Cherlon Ussery (eds.), *Proceedings of the North East Linguistic Society (NELS 35)*, 217–229. Amherst, MA: GLSA.

Johnston, Trevor. 2018. A corpus-based study of the role of headshaking in negation in Auslan (Australian Sign Language): Implications for signed language typology. *Linguistic Typology* 22(2), 185–231.

Makharoblidze, Tamar. 2012. *Kartuli jest'uri ena [Georgian Sign Language]*. Tbilisi: Ministry of Education and Science, USAID, Save the Children International.

Makharoblidze, Tamar. 2015a. *Georgian Sign Language dictionary*. Tbilisi: Ilia State University, Shota Rustaveli National Scientific Foundation.

Makharoblidze, Tamar. 2015b. Indirect object markers in Georgian Sign Language. *Sign Language & Linguistics* 18(2). 238–250.

Makharoblidze, Tamar. 2019. *Kartuli jesturi enis zmnis morfologia [Georgian Sign Language verbal morphology]*. Tbilisi: Shota Rustaveli National Science Foundation.

Makharoblidze, Tamar & Roland Pfau. 2018. A negation-tense interaction in Georgian Sign Language. *Sign Language & Linguistics* 21(1), 135–149.

Meir, Irit. 2004. Question and negation in Israeli Sign Language. *Sign Language & Linguistics* 7(2), 97–124.

Miestamo, Matti. 2005. *Standard negation*. Berlin: Mouton de Gruyter.

Oomen, Marloes & Roland Pfau. 2017. Signing NOT (or not): A typological perspective on standard negation in Sign Language of the Netherlands. *Linguistic Typology* 21(1). 1–51.

Pfau, Roland. 2015. The grammaticalization of headshakes: From head movement to negative head. In Andrew D.M. Smith, Graeme Trousdale & Richard WALTERIT (eds.), *New directions in grammaticalization research*, 9–50. Amsterdam: John Benjamins.

Pfau, Roland. 2016. A featural approach to sign language negation. In Pierre Larri vee & Chungmin Lee (eds.), *Negation and polarity. Experimental perspectives*, 45–74. Dordrecht: Springer.

Pfau, Roland & Josep Quer. 2007. On the syntax of negation and modals in Catalan SL and German SL. In Pamela Perniss, Roland Pfau & Markus Steinbach (eds.), *Visible variation: Comparative studies on sign language structure*, 129–161. Berlin: Mouton de Gruyter.

Quer, Josep. 2012. Negation. In Roland Pfau, Markus Steinbach & Bencie Woll (eds.), *Sign language. An international handbook*, 316–339. Berlin: De Gruyter Mouton.

Shaffer, Barbra. 2002. CAN’T: The negation of modal notions in ASL. *Sign Language Studies* 3(1), 34–53.

Wood, Sandra K. 1999. *Semantic and syntactic aspects of negation in ASL*. West Lafayette, IN: Purdue University Master’s thesis.

Zeshan, Ulrike. 2004. Hand, head, and face: Negative constructions in sign languages. *Linguistic Typology* 8, 1–58.

On Negation in GESL

Makharoblidze Tamar
Ilia State University, Tbilisi

Abstract

The presented paper describes the negation system in Georgian Sign Language (GESL) exposing the proper examples for each case. In GESL negation is conveyed by the following four types of lexical-grammatical forms:

- Negative particles;
- Negative grammatical elements;
- Negative modal verbs/words;
- Negative words (nothing, nobody. Never, etc)

The presented paper provides a matrix for combination these four types of negative forms.

	NOT	NEG(MOD)	NEG(EMPH)	NEG(PROH)	NEG(PERF)	NEG(FUT)	NEG. MODALS	NEG. WORDS
NOT	X	Adj./S	Adj./S	Adj./S	Adj./S	Adj/S	Adj.past	S
NEG(MOD)	Adj./S	X	T/S	0	0	0	T/S	S
NEG(EMPH)	Adj./S	T/S	X	0	S	T/S	T/S	S
NEG(PROH)	Adj./S	0	0	X	0	S	S	S
NEG(PERF)	Adj./S	0	S	0	X	0	S	S
NEG(FUT)	Adj/S	0	T/S	S	0	X	T/S	S
NEGATIVE MODALS	Adj.past	T/S	T/S	S	S	T/S	X	S
NEGATIVE WORDS NEVER/NOBODY/NOTHING	S	S	S	S	S	S	S	X

Keywords: Sign languages, Georgian Sign language, negation, negative combinations

საკვანძო სიტყვები: ჟესტური ენები, ქართული ჟესტური ენა, ნეგაცია (უაროფა), უარყოფითი კომბინაციები